შპს "კადსტუდიო 2024"

სტადია: არ/პ

დამკვეთი: ლამარა ნათელაშვილი

ქ. თბილისი სოფელი დიღომი, ჰუგოს ჰუპერტის ქუჩა 7

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტირება

ს/კ 01.72.14.094.712

დირექტორი დ. ტყეშელაშვილი

არქიტექტორი ლ. ბრეკაშვილი

კონსტრუქტორი ო. ნოზაძე

ქ. თბილისი

2026წ.

გენ-გეგმა 1:200

პირობითი აღნიშვნები

- საკადასტრო საზღვარი
- ხაზობრივი ნაგებობა
- ტრანსპორტის, მექანიზმების გადაადგილების სვლაგეზი
- მექანიზმების მიახლოების შეზღუდვის ხაზი




01.72.14.094.713
01.72.14.094.712
01.72.14.038.753
01.72.14.094.712
469.46
469.31
469.33
469.03
468.95
469.19
469.42
469.42
470.10
469.24
469.43
469.32
468.97
468.96
469.07
469.22
469.49
469.23
469.01
13 906
469.6
469.2
469.2
469.2

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისი სოფელი დიღომი, ჰუგოს ჰუპერტის ქუჩა 7ზე მდებარე ლამარა ნათელაშვილი-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საწარმოებლად, მშენებლობის რიგითობის და ეტაპების ორგანიზაციას (ნაკვეთის ს/კ 01.72.14.094.712).

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია ტექნიკური დავალების, საინჟინრო გეოლოგიური კვლევის, არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტის, ასევე მოქმედი საამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე. საამშენებლო ტერიტორია სწორია, დამატებითი ინფორმაცია იხილეთ გეოლოგიური კვლევის შედეგებში..

საპროექტო ობიექტის დახასიათება და ტექნიკურ ეკონომიური მახასიათებლები;

საპროექტო შენობა დაგეგმარდა ტექნიკური დავალების, შეთანხმებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების პირობებისა და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად.

შენობა არქიტექტურული კონცეფციით ოთხკუთხედი ფორმისაა, გაბარიტული ზომით ღერძებში 10,490X12,700 , 0,000 ნიშნულს ზემოთ 2 სართული სიმაღლე 0,000 ნიშნულს ზემოთ 8.41 მ, სიმაღლე 0,000 ნიშნულს ქვემოთ -1,60 მ. შენობა კონსტრუქციულად რკინაბეტონის სივრცულ კარკასით არის გადაწყვეტილი. კედლების შემავსებელი წვრილი საამშენებლო ბლოკი, სართულშუა გადახურვა მონოლითური ფილა.

კვლევებიდან გამომდინარე საამშენებლო სამუშაოების წარმოება განსაკუთრებული პირობებით არ გამოირჩევა.

სამუშაოთა წარმოების პროცესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იყოფა 2 რიგად, შესაბამისად, (იხილეთ მშენებლობის ორგანიზაციის კალენდარული გრაფიკი) სამუშაოების წარმოების პროცესი დაიყო 11 ეტაპად.

I რიგის სამუშაოები

1. ეტაპი. საამშენებლო პერიმეტრის მოწესრიგება. საამშენებლო ნაგავის გატანა.

ხანგრძლივობის ვადა განისაზღვროს 30 კალენდარული დღე. მოეწყოს დროებითი ღობე, შესასვლელი ჭიშკარი, სამეთვალყურეო ოთახი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ნაგავის გატანა საამშენებლო ტერიტორიიდან.

2. ეტაპი. საამშენებლო პერიმეტრის მომზადება, დროებითი საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობა, ხანგრძლივობის ვადა განისაზღვროს 30 კალენდარული დღით.

3. ეტაპი. გრუნტის ზედაპირის ცვლილება, შენობა ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა, ძირითადი და დამხმარე ღერძების დაფიქსირება.

ხანგრძლივობის ვადა განისაზღვროს 30 კალენდარული დღით. გრუნტის ზედაპირის ცვლილება, ჰუმუსის ფენის შენახვა დასაწყობება. მოეწყოს რეპერი, დაიკვალოს ღერძები, დაკვალვის წერტილები გატანილი იქნას საპროექტო ქვაბულის გარეთ რათა არ მოხდეს მათი დაკარგვა საამშენებლო სამუშაოების პროცესში, მომზადდეს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო ღერძების დაკვალვის სათანადო აქტი.

II რიგის სამუშაოები

4. II რიგის სამუშაოთა წარმოების პროცესი განისაზღვროს 630 კალენდარული დღით.

მიწის სამუშაოები; ქვაბულის ამოღება საპროექტო ნიშნულამდე. ფუძე საძირკვლების მოწყობა, კედლების მოწყობა 0,000 ნიშნულამდე, რ/ბ ის სივრცული კარკასის მოწყობა 0,000 ნიშნულს ზემოთ, სართულშუა გადახურვის ფილების მოწყობა, კედლების და ტიხრების მოწყობა.

დაკვალული ღერძების შესაბამისად ამოღებული იქნას ქვაბული პროექტში მოცემული სიმაღლეების შესაბამისად, ქვაბულის ამოღების შემდგომ ინჟინერ გეოლოგმა მიიღოს ქვაბული, და შეადგინოს ქვაბულის მოწყობის აქტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინჟინერ გეოდეზისტის მიერ გადატანილი იქნას საპროექტო ნიშნულები ქვაბული პერიმეტრზე, შედგეს სათანადო ქვაბულის დაკვალვის აქტი. მოეწყოს წერტილოვანი და ლენტური საძირკვლები, სარდაფის კედლები პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისად; მონოლითური სართულშუა გადახურვის ფილები და მონოლითური სივრცული კარკასი, სართულებს შორის დამაკავშირებელი კიბის უჯრედები, კედლები და ტიხრები. სიმაღლის ნიშნულები დაზუსტდეს გეოდეზიური ინსტრუმენტების მეშვეობით (საბაზისო წერტილი რეპერი). ყველა დაფარულ სამუშაოებზე შედგეს ფარული სამუშაოების აქტი, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ეტაპი. რკინაბეტონის სივრცული კარკასის მოწყობა, სართულშუა ფილის მოწყობა 0,000 ნიშნულიდან +4,080 ნიშნულამდე.

6. ეტაპი. რკინაბეტონის სივრცული კარკასის მოწყობა, სართულშუა ფილის მოწყობა +4,080 ნიშნულიდან +26,460 ნიშნულამდე.

7. ეტაპი. რკინაბეტონის სივრცული კარკასის მოწყობა, სართულშუა ფილის მოწყობა +26,460 ნიშნულიდან +29,560 ნიშნულამდე.

8. შენობა ნაგებობის სახურავის, ტექნიკური სართულის რ/ბ-ის კონსტრუქციების მოწყობა. შენობის არამზიდი კონსტრუქციების მონტაჟი.

9. საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მონტაჟი. შენობის ფასადების მოპირკეთება. სხვა თანმდევი სამუშაოები. ლიფტის კონსტრუქციების მონტაჟი.

10. საამშენებლო სამუშაოების, მოსაპირკეთებელი და სხვა სამუშაოების დასრულება.

11. საამშენებლო ნაგავის გატანა ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა ორი წელი.

1. საერთო ნაწილი

1. საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე გადამოწმდეს საინჟინრო კომუნიკაციები და მომზადდეს ტერიტორია საამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად. საპროექტო ტერიტორიაზე ხე ნარგავები არ ფიქსირდება(იხილეთ ფოტოფიქსირება).

1.1 სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები :

– მოეწყოს დროებითი ღობე შესასვლელ გამოსასვლელი საავტომობილო ჭიშკარი.

– მოეწყოს სამეთვალყურეო ჯიხური, გამაფრთხილებელი აბრები დამის პერიოდში განათდეს საამშენებლო მოედანი და მოეწყოს გამაფრთხილებელი შუქ ფარნები და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

– მოეწყოს დროებითი ქსელები სათანადო ნებართვების და შეთანხმების საფუძველზე (კანალიზაცია, წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება).

– მშენებლობის პროცესში, საამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა განხორციელდეს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესრულებული დროებითი საგზაო სქემის საფუძველზე დასრულების შემდგომ მოიხსნას დროებითი საგზაო ნიშნები და დარჩეს და მოეწყოს მუდმივი ნიშნები შეთანხმებული სქემის შესაბამისად.

– მოეწყოს დროებითი ღობე პროექტის შეესაბამისად

– მოეწყოს ხარაჩოები პროექტით მითითებული სქემის მიხედვით

– ჩატარდეს სამუშაოები საინჟინრო კომუნიკაციების დასაცავად, მოეწყოს გამაფრთხილებელი აბრები და ნიშნები (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად)

– ორგანიზაცია გაუკეთდეს სანიტარული პირობების მოწესრიგებას მუშა-მოსამსახურე პერსონალისათვის, მოეწყოს მუშა მოსამსახურე პერსონალისათვის დროებითი სადგომი პროექტის შესაბამისად.

1.2. ყველა ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოწვეული იქნეს ყველა დაინტერესებული სახელმწიფო სამსახურის, სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელები, კერძო პირები და შეთანხმდეს შენობის კონსტრუქციების დემონტაჟის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში).

2. გეოდეზიური სამუშაოები შენობის დაკვალვა, მიწის სამუშაოები

2.1 ტერიტორიის გეოდეზიური დაკვალვა, შენობის, საინჟინრო კომუნიკაციების დაკვალვა, დაკვალვის აქტის შედგენა. შესრულდეს მაღალი ხარისხის გეოდეზიური ინსტრუმენტით.

2.2 1. ქვაბულის დაკვალვა ქვაბულის ამოღება საძირკვლების მოსაწყობად. გრუნტის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდეს ადგილზე. ქვაბულის ძირზე შევინარჩუნოთ გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურა.

ნამატი გრუნტი გატანილი იქნას საამშენებლო პერიმეტრიდან.

ეტაპი 1

3. ძირითადი საამშენებლო სამუშაოები

3.0 მოეწყოს დროებითი სარაგვი და დამცავი ბადეები საკადასტრო საზღვართან ახლო განთავსებულ შენობებზე, განხორციელდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები.

3.1 გენ-გეგმის შესაბამისად მოეწყოს საამშენებლო მოედანი და განთავსდეს დროებითი შენობა ნაგებობები.

3.2 მიწისპირა სართულის კედლების წერტილოვანი და ლენტური საძირკვლების მონოლითური სივრცული კარკასის მოწყობა სართულების დონეების შესაბამისად განხორციელდეს კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე.

CAD STUDIO 2024 CADSTUDIO LTD 412785785

არქ.	ლ. ბრეცაშვილი				მოპ-ი 1	შურ-ლი
პრინტ.	ო. ნოზაძე					03
ცვლ.	შუ-ლი	№ დოკ.	ხელმო-ა	თარი-ი		

CAD STUDIO

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

3.3 სახურავის კონსტრუქციების მოწყობა შესრულდეს არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად.

3.4 ფარული სამუშაოები დაფიქირდეს შეესაბამისი აქტებით.

3.5 სიმაღლეზე სამუშაოების წარმოების პროცესში მკაცრად იქნას დაცული საამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნები მუშა მოსამსახურე პერსონალის მიერ. დეტალები იხილეთ მოპ-ში.

ეტაპი 2

3.6 საამშენებლო სამუშაოების წარმოება: განხორციელდეს საამშენებლო ტექნიკის მუშვეობით საამშენებლო მასალების მიწოდება ავტო-ამწე, ჯალამბარი და სხვა მექანიზმები:

3.7 კედლები: რკინაბეტონის სივრცული კარკასის შემავსებელი მდელების მასალების მიწოდება (წვრილი საამშენებლო ბლოკი, რთული ხსნარი და სხვა ავტო-ამწეთი, ჯალამბარით და სხვა მექანიზმებით. სართულების დონეების მიხედვით მოეწყოს დამცავი ბადეები, შემოიფარგლოს მშენებარე შენობის ღია პერიმერტი მოაჯირებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საამშენებლო სამუშაოების წარმოებული იქნეს ნაკადურობის მეთოდით.

3.8 საამშენებლო სამუშაოების შესრულების ტექნოლოგია

სამუშაოთა წარმოების პროცესში გავითვალისწინოთ:

საქართველოს მთავრობის "ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ"

საამშენებლო მოედანზე გამოყოფილი იქნას პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც დაიცავს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს. მუშა მოსამსახურე პერსონალი საამშენებლო ობიექტზე ყოფნის დროს აუცილებელია, აღიჭურვოს სათანადო ეკიპირებით ჩაფხუთებით, სპეც. ტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში სპეც. სამუშაოების საწარმოებლად საჭირო ეკიპირებით. საჭიროა საამშენებლო ტერიტორიის შემოღობვა და სპეც გამაფრთხილებელი აბრების და ნიშნების მოწყობა.

ღამის საათებში სამუშაოთა წარმოების შემთხვევაში მოეწყოს სათანადო განათება.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამუშაოების წარმოების პროცესში, არ მოხდეს მასალების კონსტრუქციების ჩამოცურება და ჩამოვარდნა. დაუშვებელია კუსტარული ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტების მოხმარება. მანქანა მექანიზმების მუშაობის ზონაში განთავსდეს გამაფრთხილებელი აბრები. ავტოამწესთან მუშაობის პროცესში ჩაბმის პროცესი უნდა გამორიცხავდეს ტვირტის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას. კონსტრუქციების გადაადგილების პროცესში მკაცრად აკრძალულია მათზე მუშების ყოფნა. სამუშაოების წარმოება ღია ადგილზე შეწყდეს ქარის 15 მ/წმ-ი და მეტის პირობებში. საამშენებლო მოედანზე ელექტრომოწყობილობის გამოყენებამდე საჭიროა იზოლიაციის საფარის შემოწმება, კონსტრუქციული ელემენტების ჭრის პროცესში დაიცვგმოს ღონისძიებანი მათი ჩამოვარდნის თავიდან ასაცილებლად. ჟანგბადის ბალონების მოხმარება განხორციელდეს უსაფრთხოების წესების შესაბამისად. შემოიღობოს ყველა საფრთხის შემცველი მონაკვეთი დროებითი ბარიერებით, სასიგნალო ლენტებით, მოეწყოს ღამის განათების სისტემები. სამონტაჟო ყულფების შემოწმება , ახლების მოწყოა (საჭიროებისამებრ).

სამუშაო მოედანზე მოეწყოს; გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.

შემოირაგვოს ყველა საფრთხის შემცველი ადგილი სიმაღლეზე მუშაობის პროცესში. ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო წესების უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ

სამუშაოთა წარმოების პროცესში გათვალისწინებული იქნას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები: მოეწყოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სტენდები, გამაფრთხილებელი აბრები. განხორციელდეს მუშა მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი.

დაარმატურების და ბეტონის სამუშაოები უნდა წარიმართოს თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით, ქარგილები სასურველია იყოს ადვილად ასაკრები და დასაშლელი. გაბარიტული არმატურის ნაკეთობანი სასურველია დამზადდეს საწარმოში და გადატანილი იქნეს საამშენებლო ობიექტზე. ქარხნული წესით მომზადებული ბეტონის მიწოდება განხორციელდეს ავტოშმრევებით და ბეტონის ტუმბოს მეშვეობით.

სვეტების ფილის: კონსტრუქციების აკრება განხორციელდეს მუშა ჯგუფით შემდგარი 6 კაცისაგან (ორი მემონტაჟე, ორი ჩამბმელი, ორი მქარგველი)

არმირების კარკასი მათი ყალიბებში ჩასმა და ყალიბების გადამაგრება შესრულდეს მუშა ჯგუფის მიერ კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად.

საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნას ავტო ამწე კალათები,

მემონტაჟეები მ-1 და მ-2; (ავტოკალათები მანძილი კედლის პანელს და კალათას შორის არაუმცირეს 0.5მ) და დაათვალიერებენ სამონტაჟო კონსტრუქციებს შეამოწმებენ მარყუჟებს და მოამზადებენ მონტაჟისათვის, მიუთითებს ამწეს მემანქანეს გადაადგილოს ტვირთი კედლის სიბრტყიდან სიმაღლით 0,2მ და კედლიდან 0,5 მ-ით. სამონტაჟო კალათის მემანქანეები კალათებს გადაადგილებენ საამშენებლო მოედნიდან ამწეს მეშვეობით, მემანქანე გადაადგილებს ტვირთს დანიშნულების ადგილამდე.

3.9 მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი საამშენებლო ნაგაცი დროულად იქნეს გატანილი საამშენებლო მოედნიდან ნაგავსაყრელზე.

გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი

მოპ-ის ეს ნაწილი დამუშავებულია საქართველოს "გარემოს დაცვის შესახებ" მოთხოვნების მიხედვით, ნაწილი 6 СНиП 3-01-85 და ნაწილი 9 "გარემოს დაცვა" СНиП 3-02-01-87.

სამშენებლო მექანიზმების სადგომი და მათი გამართვა უნდა მოხდეს სპეციალიზირებულ მოედანზე; დაუშვებელია ზეთისა და საწვავის დაქცევა და მისი მოხვედრა გრუნტში. გამართვის შემდეგ დაქცეული ზეთი და საწვავი დაუყოვნებლივ უნდა იყოს გაწმენდილი.

მანქანებზე უნდა იყოს ცეცხლსაქრობი, ხოლო მანქანის სადგომთან ქვიშით სავეს ყუთები.

დაუშვებელია მანქანების დატოვება მუშა ძრავის მდგომარეობაში.

იმისთვის, რომ არ მოხდეს ავტოთვითსაცლელის ძარადან მიწის გადმოყრა ის უნდა დაცული იყოს ბრეზენტის გადასაფარით.

გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ბეტონის და ხსნარების მიტანა დანიშნულების ადგილას უნდა მოხდეს სპეციალური ტრანსპორტით სამუშაოთა წარმოების დროს უნდა იყოს მიღებული კონსტრუქციული და ტექნოლოგიური ღონისძიებები ხმაურის შესამცირებლად. მტვერის შესამცირებლად კი საჭიროა დროებითი გზების წყლით დანამვა განსაკუთრებით ცხელ დღეებში. სამშენებლო ტერიტორიიდან გამოსვლისას უნდა მოხდეს ავტოტრანსპორტის ბორბლების გარეცხვა .

მშენებლობის დროს წარმოიქმნება შემდეგი ტიპის ნარჩენები: გამოძევებული გრუნტი (IVკლასის საშიშროება), სამშენებლო ნაგავი (IV კლასის საშიშროება), საყოფაცხოვრებო ნარჩენები (IV კლასის საშიშროება). სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა უნდა მოხდეს СНиП 2-07-01- 89*-ის მოთხოვნების მიხედვით, რომ არ მოხდეს გარემოს დაბინძურება. ნაგავი გამოაქვთ სპეციალიზირებულ ლიცენზირებულ ორგანიზაციებს საშუალებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე.

4.1. მრავალფუნქციონალური კომპლექსის მშენებლობის პროექტს პროექტს საფუძვლად დაედო

დავალება პროექტირებაზე

სიტუაციური გეგმა

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები

საპროექტო ობიექტის გენ-გეგმა

4.2. მშენებლობის პროექტი ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სნ წესების და სტანდარტების შესაბამისად.

სასმუშაოების წარმოების პროცესში ყველა ფარულ სამუშაოზე მოხდეს ფარული სამუშაოების აქტის შედგენა მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ქვაბულია ამოღების შემდგომ ქვაბული მიღებული იქნას ინჟინერ გეოლოგის მიერ მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფარული სამუშაოების აქტების ჩამონათვალი

მოედნის გეოლოგიური დაკვალვა,

საძირკვლების მოწყობამდე ყველა თანმდევ სამუშაოზე,

საძირკვლების მონოლითური კარკასის არმირების კონსტრუქციებზე ეტაპების შესაბამისად,

აქტები შენახული იქნას დამკვეთთან სა საქმეთა მწარმოებელთან.

სამუშაოების წარმოების პროცესში შედგეს სამუშაოთა წარმოების, უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალი.

CAD STUDIO 4127857855 CADSTUDIO 2024 LTD

არქ.	ლ. ბრეგაძე			მოპ-ი 2	ფურ-ლი	
კონსტრ.	ო. ნოზაძე				04	
ცვლ.	ფურცელი	№ დოკ.	ხელმო-რა	თარი-ი		

CAD STUDIO

საამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში ვიხელმძღვანელოთ სნ და წ-ით;

საქართველოს მთავრობის №361 დადგენილება 27.05.2014 წ.
ტექნიკური რეგლამენტი "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ"
საქართველოს მთავრობის №477 დადგენილება 27.10.2017 წ.
"სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები"
საქართველოს მთავრობის №429 დადგენილება 01.012014 წ ტექნიკური რეგლამენტი
"ამწე მოწყობილობების მოწყობის და უსაფრთხო ექსპლოატაციის შესახებ
ტექნიკური რეგლამენტისს დამტკიცების შესახებ"
საქართველოს მთავრობის №41 28.01.2016წ დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი
"შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები"
საქართველოს მთავრობის №370 23.07.2015წ დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი
"სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ"

7 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს საფუძვლად დაედო
დავალება პროექტირებაზე
სიტუაციური გეგმა
საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები
საპროექტო ობიექტის გენ-გეგმა
8 პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სნ წესების და სტანდარტების შესაბამისად.

მანქანა მექანიზმების უწყისი			
№	დასახელება	განზ.ბა ერთ-ლი	რაოდ-ბა
1	ავტო ამწე KC 5513-6	ც	2
3	ექსკავატორი მრავალფუნქციური	ც	2
4	ავტოთვითმცლელი	ც	6
5	ამწე კალათა	ც	1
6	ბეტონის ნასოსო	ც	2

ავტო-ამწე
KC 55713-6
KC-45717K-1P





ისრის სიგრძე 21,7-9,7
ტვირთამწეობა 25 ტ
ისრის სიგრძე 30,7-9,9
ტვირთამწეობა 25 ტ



კალათის აწევის სიმაღლე 24მ

ექსკავატორი
მრავალფუნქციური
ELAZ BL888





ტვირთამწეობა 3,7 ტ

ბეტონის ნასოსი





ავტოთვითმცლელი



KAMAZ 6520 მოცულობა 6 მ³
KAMAZ 5551 მოცულობა 12 მ³

შენიშვნა

მოცემული ტექნიკა-მექანიზმები შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური მახაზიათებლების მქონე სხვა მწარმოებლის მიერ წარმოებული ტექნიკით.

CAD STUDIO
CADSTUDIO 2024 LTD
412785785
მეს ქედსტუდიო 2024

არქ.	ლ. ბრეცაშვილი				მოპ-ი 3	შურ-ლი
პრინტ.	ო. ნოზაძე					05
ცვლ.	შუ-ლი	№ დოკ.	ხელმო-რა	თარ-ი		

სქემატური ფასადი 1:125



პირობითი აღნიშვნები

- ამწეს მუშაობის შეზღუდვის ზონა
- ამწეს მუშაობის ზონა შეზღუდვის ხაზი
- ტვირთის ვარდნის საშიში ზონის ხაზი

არქ.	ლ. ბრეკაშვილი				მოპ-ი 4	ფურ-ლი
კონსტ.	ო. ნოზაძე					06
ცვლ.	ფურ-ლი	№ დოკ.	ხელმო-რა	თარ-ი		

CAD STUDIO

მოპ-ი, სქემატური გეგმა 1:75



პირობითი აღნიშვნები

- მექანიზმების გადაადგილების სქემა
- ხარაჩოების გადაადგილების სქემა
- მექანიზმების მიახლოების შეზღუდვის ხაზი
- ამწეს მუშაობის შეზღუდვის ზონა
- ამწეს მუშაობის ზონა შეზღუდვის ხაზი
- ტვირთის ვარდნის საშიში ზონის ხაზი

CAD STUDIO 472785785 CADSTUDIO 2024 LTD

არქ.	ლ. ბრეგაძე				მოპ-ი 5	შურ-ლი
პრძხ.	ო. ნოზაძე					07
ცვლ.	შეტლი	№ დოკ.	ხელმო-რა	თარი		

CAD STUDIO

მშენებლობის ორგანიზაციის კალენდალური გრაფიკი

| № | სამუშაოების წარმოების ეტაპები ძირითადი სამუშაოთა ნუსხა | სამუშაოების წარმოების ხანგრძლივობა | | |